შესაძლებლობების დოკუმენტი 1:

შესაძლებლობები მთავრობებისთვის ბავშვთა და ოჯახების მზრუნველობის საკითხებზე და დაკავების ალტერნატივებზე

იმიგრაციისას დაკავების რა ალტერნატივები (ATD) არსებობს ბავშვებისა და ოჯახებისთვის?

ნებისმიერი კანონმდებლობა, პოლიტიკა ან პრაქტიკა, რომელიც უფლებას აძლევს მზრუნველობის ქვეშ ან მის გარეშე მყოფ ბავშვს, იცხოვროს საზოგადოებაში ან, როდესაც ბავშვი მზრუნველობის გარეშეა ან მშობლებს არის დაცილებული, იცხოვროს სათანადო მიმღებ ან მზრუნველობის დაწესებულებაში, სადაც მის სპეციფიურ საჭიროებებს მორგებული დაცვა და დახმარება მიეწოდება.

დაკავების ალტერნატივები არის არასაპატიმრო და არ უნდა გადაიქცეს დკავების ალტერნატიულ ფორმად. მათ პატივი უნდა სცენ მინიმალური ინტერვენციის პრინციპს და ემსახურებოდნენ ბავშვის საუკეთესო ინტერესებს, მისი თავისუფლებისა და ოჯახური ცხოვრების უფლებასთან ერთად.

საერთო ჯამში ეთიკური მზრუნველობა – და არა აღსრულება – უნდა მართავდეს ურთიერთობებს თავშესაფრის მაძიებელ, მათ შორის ოჯახში მყოფ ბავშვებთან.

თავისუფლება და გადაადგილების თავისუფლება თავშესაფრის მაძიებლისთვის ყოველთვის პირველი არჩევანია.

ბავშვი ნიშნავს 18 წლის ქვევით მყოფ ნებისმიერ პირს, თუ შესაბამისი (ეროვნული) კანონმდებლობის მიხედვით სრულწლოვანება უფრო ადრე არ მიიღწევა (მუხლი 1, ბავშვის უფლებათა კონვენცია (CRC)).	**მზრუნველობის გარეშე დარჩენილი ბავშვები:** ბავშვები, რომლებიც დაცილებულები არიან ორივე მშობელს და სხვა ნათესავებს და მათზე არ ზრუნავს სრულწლოვანი პირი, რომელიც კანონით ან ჩვეულებით არის მასზე პასუხისმგებელი.	**დაცილებული ბავშვები:** ბავშვები, რომლებიც დაცილებულები არიან ორივე მშობელს, ან მათ ყოფილ კანონიერ ან ჩვეულებით პირველად მომვლელს, თუმცა არა აუცილებლად თავიანთ ნათესავებს. ამიტომ, ეს შეიძლება მოიცავდეს ბავშვებს, რომლებიც არიან ოჯახის სხვა სრულწლოვან წევრებთან ერთად.	ზოგიერთი მზრუნველობის გარეშე დარჩენილი ან დაცილებული ბავშვი შეიძლება იყოს **ობოლი**; ეს არის ბავშვი, რომლის ორივე მშობელიც ცნობილია, რომ გარდაიცვალა. **UASC** = მზრუნველობის გარეშე მყოფი ან დაცილებული ბავშვი/ ბავშვები, რომლებიც არიან თავშესაფრის მაძიებლები, ლტოლვილები ან სხვა მიგრანტები.

პოლიტიკის შემქმნელებისა და გადაწყვეტილების მიმღებთათვის ზოგადი სახელმძღვანელო პრინციპები	პრიორიტეტი უნდა მიეცეთ ოჯახზე დაფუძნებული მზრუნველობის საკითხებს, ხოლო ინსტიტუციონალური მზრუნველობა უნდა იყოს გამოყენებული მხოლოდ შეზღუდულ შემთხვევებში.
	ყველა ბავშვს აქვს ბავშვის ფიზიკური, გონებრივი, სულიერი, მორალური და სოციალური განვითარების შესაფერისი ცხოვრების დონის უფლება.
თავშესაფრის მაძიებელი, ლტოლვილი და მიგრანტი ბავშვები პრინციპში არ უნდა იყვნენ დაკავებულნი, ნებისმიერი დაკავება უნდა იყოს უკიდურესი ზომა და რაც შეიძლება ნაკლები პერიოდის განმავლობაში (მუხლი 37(ბ), ბავშვის უფლებათა კონვენცია (CRC)). ყველაზე კარგად გარანტირებულია ადგილობრივი კანონმდებლობით.	მზუნველობის ალტერნატიული შესაძლებლობა უნდა იყოს მორგებული ბავშვის შესაფერის განვითარებაზე (როგორც ფიზიკურ, ასევე გონებრივზე) იმ პერიოდის მანძილზე, ვიდრე ალტერნატიული გადაწყვეტები განიხილება (მუხლი 3(2) CRC)
ეთიკური მზრუნველობა – არა აღსრულება – უნდა მართავდეს ყველა ურთიერთობას თავშესაფრის მაძიებელ და მიგრანტ ბავშვებთან (გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის (UNHCR) დაკავების სახელმძღვანელო პრინციპები, 2012).	სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს ბავშვის აღზრდის განგრძობითობის სასურველობას და ბავშვის ეთნიკურ, რელიგიურ, კულტურულ და ლინგვისტურ წარმომავლობას (მუხლი 20, CRC).
ბავშვის საუკეთესო ინტერესს უნდა დაეთმოს უპირველესი ყურადღება (მუხლი 3, CRC).	ნათელი სტანდარტები და პროცედურები სასიცოცხლო მნიშვნელობისაა რათა უზრუნველყოფილი იყოს, რომ ალტერნატიული მიღება და მზრუნველობის შესაძლებლობა იცავდეს ბავშვებს და არ აყენებდეს მათ ზიანს.
სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ სათანადო ზომები, რათა უზრუნველყონ, რომ ლტოლვილის სტატუსის მაძიებელი ბავშვები ან აღიარებული ლტოლვილები, მზრუნველის თანხლებით, ან მის გარეშე, იღებდნენ შესაბამის დაცვასა და დახმარებას (მუხლი 22, CRC).	ალტერნატივების დაგეგმვისა და იმპლემენტაციის განმავლობაში გათვალისწინებული უნდა იყოს განსაკუთრებული საჭიროებები, რომლებიც აქვთ გოგოებსა და რისკის ქვეშ მყოფ სხვა ჯგუფებს, როგორიცაა ლგბტ, ტრავმისა და წამების მსხვერპლნი, ტრეფიკინგის მსხვერპლნი ან პოტენციური მსხვერპლნი, (მუხლი 2, CRC; UNHCR-ი, ასაკის, გენდერისა და მრავალფეროვნების მიდგომა, 2012, პუნქტი 19; UNHCR-ი, აღმასრულებელი კომიტეტის დასკვნა, No. 105 (LVII), 2006; UNHCR-ი, აღმასრულებელი კომიტეტის დასკვნა, No. 107 (LVIII), 2007; UNHCR-ი, დაკავების სახელმძღვანელო პრინციპები, 2012).
თავშესაფრის ძიება არ არის უკანონო ქმედება და თავშესაფრის მაძიებლები არ უნდა დაისაჯონ ქვეყანაში უკანონო შემოსვლისა და ყოფნისთვის. სახელმწიფოებმა ასევე არ უნდა მოახდინონ არალეგალური შემოსვლისა და ყოფნის კრიმინალიზაცია (მუხლი 14, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, მუხლი 31(1), 1951 წლის ლტოლვილთა კონვენცია).	არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემაში თავშესაფრის მაძიებელი და მიგრანტი ბავშვები არ შეერიონ სხვა ბავშვებს.

ყველა ბავშვს აქვს ფიზიკური და გონებრივი ჯანმრთელობის უმაღლესი ხარისხის უფლება.	ყველა ბავშვს აქვს განათლების უფლება (მუხლი 28, CRC; მუხლი 22, 1951 ლტოლვილთა კონვენცია).
ოჯახისა და ბავშვის სათანადო მიღების საკითხები უნდა იყოს ინტეგრირებული არსებულ ეროვნულ სისტემებში. პარალელური სისტემები თავიდან უნდა იყოს არიდებული	თავშესაფრის მაძიებელ ბავშვებს აქვთ UNHCR–თან კონტაქტის უფლება (UNHCR-ი, დაკავების სახელმძღვანელო პრინციპები 2012; UNHCR-ი, აღმასრულებელი კომიტეტის დასკვნა, No. 85 (XLIX), 1998).
ყველა ბავშვს აქვს სიცოცხლის შენარჩუნებისა და განვითარების მაქსიმალური შესაძლებლობის ფუნდამენტური უფლება (მუხლი 6, CRC)	ყველა ბავშვს აქვს დასვენების, თავისუფალი დროისა და თამაშის უფლება (მუხლი 31, CRC) და კულტურული ცხოვრების უფლება (მუხლი 30, CRC)

1. ბავშვთა მიღების პროცედურების მართვა

კანონები, რომლებიც კრძალავენ ბავშვთა დაკავებას

ნიკარაგუაში, ლტოლვილთა დაცვის კანონი ადგენს განსაკუთრებული საჭიროების თავშესაფრის მაძიებელთა არ–დაკავებას, მათ შორის მზრუნველობის გარეშე დარჩენილი ბავშვების ან დაცილებული ბავშვების, და ითხოვს მათ დაუყოვნებლივ გადამისამართებას

შესაბამისი დახმარებისთვის.

ბავშვები პრინციპში საერთოდ არ უნდა იყვნენ დაკავებულები იმიგრაციის მიზეზების გამო. ეს ყველაზე კარგად შეიძლება უზრუნველყოფილი იყოს ეროვნული კანონმდებლობით.

იდენტიფიცირების პროცედურები

თავშესაფრის მაძიებელ ბავშვთა იდენტიფიცირება პირველი ნაბიჯია მათი ეფექტური დაცვისთვის. სათანადო იდენტიფიკაცია იძლევა ისეთ შეფასებას, რომელიც ითვალისწინებს ბავშვის ნებისმიერ სპეციფიურ საჭიროებას ან მოწყვლადობას და წარმოადგენს მზრუნველობის, მომსახურებისა და გადამისამართების შესახებ რეკომენდაციის მომზადების საფუძველს. ეს პირველადი შეფასების პროცედურა უნდა ჩატარდეს ბავშვზე მორგებულ გარემოში და უნდა უზრუნველყოფდეს უსაფრთხოებასა და პირადი

- განმეორებითი ტრავმირების ასაცილებლად, თავიდან უნდა იყოს არიდებული მრავალი ინტერვიუ და უზრუნველყოფილი უნდა იყოს სათანადო, ბავშვზე მორგებული და უსაფრთხო გარემო და შესვენებები, საჭიროების შემთხვევაში. თარგმანი უნდა იყოს უზრუნველყოფილი ბავშვთან გასაუბრებისას.
- კონფიდენციალურობისა და მონაცემთა დაცვის პრინციპის უზრუნველსაყოფად, უნდა შემუშავდეს ოქმი სხვა სახელმწიფო დაწესებულებებთან, ბავშვთან დაკავშირებული ინფორმაციის გაცვლის შესახებ.

ცხოვრების დაცვას, ასევე უნდა ჩატარდეს კვალიფიციური პროფესიონალის მიერ, რომელსაც აქვს გადამზადება გავლილი ასაკისა და გენდერისთის სპეციფიური გასაუბრების ტექნიკაში.

შემდეგი ინფორმაცია უნდა იყოს მოცული:

- არის თუ არა ბავშვი მზრუნველობის გარეშე დარჩენილი ან მშობლებთან ან უშუალო ოჯახთან (ბებია–ბაბუა/დედის ან მამის მხრიდან ბიძა/დეიდა/მამიდა/ბიცოლა) დაცილებული?
- სახელი, ასაკი და სქესი
- მოქალაქეობა ან მოქალაქეობის არქონა; წარმოშობის ქვეყანა/ადგილი
- ეთნიკური, რელიგიური, კულტურული ან ლინგვისტური წარმომავლობა
- კონკრეტული მოწყვლადობა (როგორიც არის ფიზიკური ან ფსიქოლოგიური პრობლემები, ჯანმრთელობასთან დაკავშირებული/სამედიცინო საჭიროებები, კვების სპეციალური საჭიროებები, ა.შ.)
- დაცვის საჭიროებები და სტატუსი (ლტოლვილი, თავშესაფრის მაძიებელი, არ არსებობს მის მიმართ მიმდინარე პროცედურა)
- რაიმე მტკიცებულება, რომ პირი არის რისკის ქვეშ ან ტრეფიკინგის, დევნის, წამების ან ტრავმის მსხვერპლი

დაკავების შემთხვევაში, ბავშვის შესახებ შემდეგი დამატებითი ინფორმაცია უნდა იყოს ჩანიშნული:

- დაკავების ხანგრძლივობა
- დაკავების შემდეგი განხილვის თარიღი
- იმის გარკვევა, პირი არის თუ არა დაკავებული მარტო თუ მშობლებთან ან უშუალო ოჯახთან ერთად (დედმამისშვილები, ბებია–ბაბუა, დედის/მამის მხრიდან ბიძა/დეიდა/მამიდა/ბიცოლა)

ადამიანის უფლებათა ამერიკათაშორისი სასამართლოს 2014 წლის 19 აგვისტოს სარჩევ მოსაზრებაში OC-21/14 აღნიშნულია, რომ ფაქტის დადგენა, ბავშვი არის მზრუნველობის გარეშე მყოფი თუ მშობლებთან ან კანონიერ წარმომადგენელთან დაცილებული, უნდა განხორციელდეს დაუყოვნებლივ, ჩამოსვლისთანავე, ბავშვის მომატებული მოწყვლადობის გამო და იმის უზრუნველსაყოფად, რომ მიღებულ იქნეს დაცვის საჭირო ზომები.

მექსიკაში, დაკავების ცენტრში მისული ყველა ბავშვი, რომელიც მზრუნველობის გარეშეა დარჩენილი და დაცილებულია, იღებს ბავშვთა დაცვის ოფიცრის მხარდაჭერას, რომელიც წარმოადგენს მიგრაციის ეროვნულ ინსტიტუტს (National Migration Institute). ეს ოფიცრები გადიან ოჯახის ინტეგრირებული განვითარების ეროვნული სისტემის (DIF), მექსიკის ოჯახის კეთილდღეობის სააგენტოსა და ბავშვთა დაცვის ინსტიტუტის, ადამიანთა უფლების ეროვნული კომისრისა (CNDH) და საერთაშორისო ორგანიზაციების, მათ შორის UNHCR-ის მიერ მომზადებულ ტრენინგს. ბავშვთა დაცვის ოფიცრებს ევალებათ, ჩაატარონ ასაკის შესაბამისი გასაუბრებები მზრუნველობის გარეშე დარჩენილ და დაცილებულ ბავშვებთან, რათა შეაგროვონ მონაცემები მათი ვინაობის, ეროვნების, იმიგრაციის სტატუსის და მათი ოჯახის ადგილმდებარეობის შესახებ, ასევე, უზრუნველყონ დაცვის, სამედიცინო ან ფსიქოლოგიური დაცვის სკრინინგი, მათ შორის თავშესაფრის პროცედურებზე ხელმისაწვდომობა. შეგროვებულ ინფორმაციას უწყებები იყენებენ საუკეთესო ინტერესის შესაფასებლად.

ადამიანთა ტრეფიკინგის მსხვერპლთა და პოტენციურ მსხვერპლთა იდენტიფიცირება

ნიდერლანდებში ჩამოსვლისას 13 წელს ზემოთ მყოფი მზრუნველობის გარეშე დარჩენილი და დაცილებული ბავშვები პირდაპირ იგზავნებიან ტერ აპელის (Ter Apel) თავშესაფრის მაძიებელთა განაცხადის ცენტრში; 13 წელს ქვევით მყოფი და მოწყვლადი ბავშვები თავსდებიან მიმღებ ოჯახში. ნიდოს-ი (Nidos), რომელიც განთავსებულია ტერ აპელში – არის დამოუკიდებელი მზრუნველობითი ორგანო – რომელიც აწარმოებს მისაღებ გასაუბრებას თითოეულ ბავშვთან ჩამოსვლიდან მალევე, რათა: (i) შეაგროვოს პერსონალური დეტალები რათა შეავსოს (დროებითი) მზრუნველობის მოთხოვნა; (ii) გამოიკვლიოს სათანადო ტიპის მიმღები დაწესებულება ბავშვისთვის, ისეთი როგორიცაა დაცული მიმღები ცენტრი, მიმღები ოჯახი, კამპუსი, ან

> სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ყველა ზომა ფიზიკური და გონებრივი ძალადობის, უყურადღებობის, ცუდად მოპყრობის ან ექსპლუატაციის, მათ შორის სექსუალური შეურაცხყოფის ნებისმიერი ფორმის (მუხლი 19, CRC) და ექსპლუატაციის სხვა ფორმის ან უკანონო პრეპარატების გამოყენების (მუხლები 33, 34, 35, 36, CRC) წინააღმდეგ. ეს ეხება ორივეს – დაკავების და არ–დაკავების შემთხვევას. ყველა სათანადო ზომა უნდა იყოს გამოყენებული ფიზიკური და ფსიქოლოგიური გამოჯანმრთელებისა და სოციალური ინტეგრაციისთვის (მუხლი 39, CRC).

საცხოვრებელი ადგილი სხვა არასრულწლოვნებთან ერთად; და (iii) შეაფასოს, რამდენად არის მზრუნველობის გარეშე დარჩენილი და დაცილებული ბავშვი ადამიანთა ტრეფიკინგის პოტენციური მსხვერპლი.

სადაც დასტურდება, რომ ბავშვი არის ადამიანთა ტრეფიკინგის მსხვერპლი ან დგას ამ რისკის წინაშე, ნიდოს–ი უკავშირდება იმიგრაციისა და ნატურალიზაციის სამსახურს და უცხოელთა პოლიციას, რათა განიხილოს სამმხრივი ინფორმაცია და შეაფასოს რისკები. რისკების არსებობის შემთხვევაში, ნიდოს–ი, იმიგრაციისა და ნატურალიზაციის სამსახური და უცხოელთა პოლიცია განიხილავენ ბავშვის განთავსებას უსაფრთხო სახლში, დაცულ მიმღებ დაწესებულებაში ტრეფიკინგის მსხვერპლთათვის. ნებისმიერი კრიმინალური გამოძიებისას, ბავშვის მეურვეს შეუძლია განაცხადი შეიტანოს ბინადრობის ნებართვის მისაღებად, რათა ბავშვმა შეძლოს ნიდერლანდებში დარჩენა დროებით, ჰუმანიტარული საფუძვლით.

დოკუმენტაცია

- ყველა ბავშვს აქვს საიდენტიფიკაციო დოკუმენტების ქონის უფლება (მუხლი 7,8, CRC; მუხლი 27, 1951 წლის ლტოლვილთა კონვენცია); პატიმრობაში დაბადებული ნებისმიერი ბავშვი უნდა იყოს რეგისტრირებული დაბადებისთანავე (მუხლი 7, CRC; აღმასრულებელი საბჭოს დასკვნა No. 111 (LXIV), 2013).
- სახელმწიფოებმა უნდა გასცენ თავშესაფრის მაძიებელ და ლტოლვილ ბავშვებზე ინდივიდუალური დოკუმენტი, რომელიც ადასტუდებს თავშესაფრის მაძიებლის ან ლტოლვილის სპეციალურ სტატუსს (მუხლი 27, 1951 წლის ლტოლვილთა კონვენცია)

კოსტა რიკაში კანონმდებლობა ღიად კრძალავს მზრუნველობის გარეშე დარჩენილი და დაცილებული ბავშვებისთვის საზღვრის გადმოკვეთაზე უარის თქმას; ეს ასევე ეხებათ პირებს, რომელთა ასაკშიც არსებობს გაურკვევლობა. საზღვარზე მყოფმა იმიგრაციის უწყებამ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს ასეთი პირების შესახებ ბავშვთა დაცვის ინსტიტუტს (Child Protection Institute), კომპეტენტურ უწყებას, რომელიც პასუხისმგებელია მშობლებისა და კანონიერი მეურვის გარეშე მყოფ ბავშვებზე, მათ შორის თავშესაფრის მაძიებელ და ლტოლვილ მზრუნველობის გარეშე დარჩენილ და დაცილებულ ბავშვებზე. ბავშვთა დაცვის ინსტიტუტს შემდეგ მოეთხოვება ბავშვის უახლოეს, სათანადო დაწესებულებაში განთავსება და მიგრაციის უწყების ლტოლვილთა სამსახურთან კავშირის ქონა მათი თავშესაფრის განაცხადის რეგისტრაციისა და შეფასებისთვის. რეგისტრაციისას გაიცემა დროებითი დოკუმენტი.

კოსტა რიკას კანონმდებლობის მიხედვით, 18 წელს ქვემოთ მყოფ ყველა ბავშვს, მათ შორის მზრუნველობის გარეშე დარჩენილ და დაცილებული მიგრანტ, თავშესაფრის მაძიებელ და ლტოლვილ ბავშვს, აქვს უნივერსალური წვდომა განათლებაზე და ჯანდაცვაზე.

მზრუნველობის გარეშე დარჩენილი და დაცილებული ბავშვისთვის მეურვის დანიშვნა

მეურვე არის კანონიერად აღიარებული პირი ან ორგანო, რომელსაც ბავშვზე აქვს კანონიერი პასუხისმგებლობა. მეურვე უნდა დაინიშნოს როდესაც მშობლები არ არიან სახეზე ან არ შეუძლიათ ბავშვის საუკეთესო ინტერესებში არსებული ყოველდღიური გადაწყვეტილებების მიღება. ეს დამოუკიდებელი წარმომადგენელი - არის პირი, რომელსაც აქვს კანონიერი პასუხისმგებლობა ბავშვზე; ეს შეიძლება მოიცავდეს მშობლების სრულ პასუხისმგებლობას, მათ შორის ბავშვზე ზრუნვას, ან დაკისრებულ პასუხისმგებლობას, სამართლებრივი გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებით.

ყველა მზრუნველობის გარეშე დარჩენილ ან დაცილებულ ბავშვს ჩამოსვლიდან რაც შეიძლება სწრაფად უნდა დაენიშნოს კანონიერი მეურვე.

არგენტინაში, ბავშვთა დაცვის ისეთი აქტორები, როგორიცაა სახალხო დამცველის ოფისი (Public Defender's Office), ლტოლვილთა ეროვნული კომისია (National Commission for Refugees), მიგრაციის ეროვნული ოფისი, UNHCR-ი, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია, გაეროს ბავშვთა ფონდი და რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაცია, არიან *მზრუნველობის გარეშე დარჩენილ და დაცილებულ ბავშვთა დაცვის, დახმარებისა და მათთვის გრძელვადიანი გადაწყვეტის ძიების პროტოკოლის ნაწილი* (2008). პროტოკოლი ხაზს უსვამს თითოეული ორგანიზაციის როლსა და პასუხისმგებლობას, იმ მომენტიდან, როდესაც ხდება საერთაშორისო დაცვის საჭიროების მქონე ბავშვის იდენტიფიცირება, მისთვის გრძელვადიანი გადაწყვეტის მოძებნამდე. დაკავება არ არის ამ პროტოკოლით გათვალისწინებული შესაძლებლობა.

მნიშვნელოვანია განხორციელდეს ერთგვაროვანი სკრინინგის პროცედურები იმის დასადგენად, თუ რამდენად არის ბავშვი მზრუნველობის გარეშე დარჩენილი ან დაცილებული და დაცვის რა საჭიროებები აქვს მას. ასეთი სკრინინგი უნდა ჩატარდეს მიუხედავად იმისა, ბავშვის იდენტიფიცირება მოხდება საზღვარზე, თუ ტერიტორიაზე, და თუ რა გზით შემოვიდა ბავშვი ქვეყანაში. ეს პირველადი სკრინინგი კოორდინირებულია სახალხო დამცველის ოფისს (სადაც შესაბამისია, ადგილობრივი ბავშვთა დაცვის

სააგენტოების მხარდაჭერით), ლტოლვილთა ეროვნულ კომისიასა და ბუენოს აირესის მიგრაციის უწყებებს შორის.

მას შემდეგ, რაც ლტოლვილთა ეროვნული კომისია მიიღებს ცნობას შესაძლო მზრუნველობის გარეშე დარჩენილი და დაცილებული ბავშვის შესახებ, სახალხო დამცველის ოფისს ეგზავნება შეტყობინება დაუყოვნებლივ და იღებს მეურვეობას ბავშვზე 48 საათის ვადაში. სახალხო დამცველის ოფისს აქვს რამდენიმე მიზანი: (i) ის ნიშნავს კანონიერ მეურვეს თავშესაფრის მაძიებელი მზრუნველობის გარეშე დარჩენილი და დაცილებული ყველა ბავშვისთვის, რათა თან ახლდეს ბავშვს სხვადასხვა პროცედურის მიმდინარეობისას გრძელვადიანი გადაწყვეტის ძიებაში; (ii) ის ეხმარება ბავშვს მიიღოს დროებითი დოკუმენტაცია; და (iii) ის აფასებს ბავშვის მოწყვლადობის დონეს და რისკ ფაქტორების არსებობას (ფიზიკურ და გონებრივ ჯანმრთელობას), და ახდენს შემდგომი მოქმედებების კოორდინაციას.

სახალხო დამცველის ოფისი ნიშნავს მეურვეს როგორც ყოვლისმომცველ მხარდაჭერაზე პასუხისმგებელს, ისეთის, როგორიც არის სოციალური მხარდაჭერის კოორდინაცია, მათ შორის, საცხოვრებლისა (მაგალითად ბავშვთა თავშესაფარი) და საარსებო წყაროს უზრუნველყოფა; ჯანმრთელობის რეგულარული შემოწმება; ესპანურის კურსები და განათლება (დაწყებითი განათლება, საშუალო განათლება და მის მიღმა); 16 წლისა და უფროსი ბავშვებისთვის შრომის ხელმისაწვდომობა, მათ შორის, სამუშაოსთვის შესაბამისობის შეფასება; და ასაკისთვის შესაფერისი გასართობი აქტივობებით სარგებლობა. სახალხო დამცველის ოფისმა უნდა უზრუნველყოს, რომ ყველა ლტოლვილი და თავშესაფრის მაძიებელი, ასაკის მიუხედავად, უფასოდ სარგებლობდეს სახალხო დამცველის ადვოკატის დახმარებითა და წარმომადგენლობით.

კენიაში ბავშვთა დაცვა ორგანიზებულია პროვინციებისა და რაიონების მიხედვით. რაიონის დონეზე, რაიონის ბავშვთა ოფიცრები (DCO) არიან ბავშვებზე პასუხისმგებელნი როდესაც ისინი მოდიან კონფლიქტში კანონთან და ბავშვთა დაცვის ისეთ სხვა საკითხებთან, როგორიცაა ბავშვთა საუკეთესო ინტერესის დადგენა, მეურვის დანიშვნა და ლტოლვილ ბავშვთა დაცვა. დაკავებულის ლტოლვილად იდენტიფიცირებისას, რაიონის ბავშვთა ოფიცრები, UNHCR-თან თანამშრომლობით, უზრუნველყოფენ, რომ ბავშვი გათავისუფლდეს და განთავსდეს ბავშვთა სახლში, რომელსაც მართავს ბავშვთა სერვისების დეპარტამენტი. კენიაში ხორციელდება ოჯახის წევრების მიკვლევა და ხდება ოჯახის გაერთიანების ორგანიზება. იმ შემთხვევებში, როდესაც გაერთიანება არის შეუძლებელი ან არ არის ხელმისაწვდომი, ხდება მიმღები ოჯახების იდენტიფიცირება.

კანონიერი წარმომადგენლობა და რჩევა

ურუგვაის კანონი ლტოლვილთა სტატუსის შესახებ ითვალისწინებს, რომ როდესაც თავშესაფრის მოთხოვნა წარდგენილია მზრუნველობის გარეშე დარჩენილი ბავშვის ან მოზარდის მიერ (რომელსაც შეუძლია განაცხადის დამოუკიდებლად წარდგენა კანონიერი წარმომადგენლის გარეშე), ლტოლვილთა კომისიის მუდმივი სამდივნო პრიორიტეტულად უზრუნველყოფს ადვოკატის დანიშვნას. ოჯახურ სასამართლოს დაუყოვნებლივ ეძლევა რჩევა, რათა მიიღოს სპეციალური ზომები. ნებისმიერი მოქმედება, რომელიც ხორციელდება მრჩევლის დასწრების გარეშე, ითვლება ძალადაკარგულად და ანულირებულად, კანონის შესაბამისად.

> ბავშვები, რომლებიც არიან ძირითადი განმცხადებლები, ან მზრუნველობის გარეშე დარჩენილი და დაცილებული ბავშვები, უნდა იყვნენ ინფორმირებულნი თავიანთი უფლებების შესახებ და მიეცეთ წვდომა იურიდიულ დახმარებაზე და წარმომადგენლობაზე, არა მხოლოდ თავშესაფრის ან იმიგრაციის პროცედურებთან დაკავშირებით, არამედ დაკავების ან მათი მიღების ორგანიზების გასაჩივრებისათვის (მუხლი 16, 1951 წლის ლტოლვილთა კონვენცია; მუხლი 37(დ), CRC)

ფილიპინებში, ფილიპინების საჯარო ადვოკატის ოფისსა (Public Attorney's Office) და UNHCR-ს შორის გაფორმებული ურთიერთგაგების მემორანდუმი (2013წ. და გაგრძელებული 2015 წელშიც) ხაზს უსვამს ლტოლვილებისთვის, მოქალაქეობის არმქონე პირებისთვის და თავშესაფრის თაობაზე განმცხადებლებისთვის უფასო იურიდიულ დახმარებასთან, კონსულტაციასთან და წარმომადგენლობასთან დაკავშირებით არსებულ თანამშრომლობის ჩარჩოს, ადმინისტრაციული, სასამართლო და კვაზი–სასამართლო პროცესების მიმდინარეობის ყველა ეტაპზე. განმცხადებლის წარმომადგენლობა საჯარო ოფისის მიერ იწყება პირველ ინსტანციაში მისი ლტოლვილის ან მოქალაქეობის არმქონეობის განაცხადზე უარის თქმიდან. ეს ურთიერთგაგების მემორანდუმი ასევე ეხება თავშესაფრის მაძიებელ, მზრუნველობის გარეშე დარჩენილ და დაცილებულ ბავშვებს, რომლებიც სარგებლობენ იურიდიული დახმარებით ლტოლვილთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა დაცვის განყოფილების (Refigee and Stateless Persons Protection Unit) რეკომენდაციით. ლტოლვილთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა დაცვის განყოფილება უზრუნველყოფს, რომ მზრუნველობის გარეშე დარჩენილი და დაცილებული ბავშვები გადამისამართდნენ შესაბამის სახელმწიფო სააგენტოებში ან/და ორგანიზაციებში, მზრუნველობისა და

კეთილდღეობისთვის. UNHCR-ს ან მის ადგილობრივ შემსრულებელ პარტნიორს ასევე შეუძლია ხელი შეუწყოს საჯარო ადვოკატის ოფისში გადამისამართებას.

საჯარო ადვოკატის ოფისის საოპერაციო სახელმძღვანელო ავსებს ამ დაცვით ზომებს თავშესაფრის მაძიებელი ბავშვებისთვის, და უწევს კოორდინაციას სოციალური კეთილდღეობისა და განვითარების დეპარტამენტს, ადგილობრივ სოციალური კეთილდღეობის ოფიცრებსა და მონაწილე სახელმწიფო სააგენტოებს, რათა უზრუნველყოფილი იყოს იმ ბავშვის გათავისუფლება, რომელიც დაკავებულია კანონთან კონფლიქტის გამო ან რომელსაც სხვაგვარად ეთქვა უარი თავისუფლებაზე. მაშინ, როდესაც ეს დებულება, პირველ რიგში, გამიზნულია იმ ბავშვებისთვის, რომლებიც კანონთან მოდიან წინააღმდეგობაში, საჯარო ადვოკატის ოფისის პოლიტიკა და პრაქტიკა ავრცელებს ამ დებულებას ყველა დაკავებულ ბავშვზე.

საუკეთესო ინტერესის შეფასება



- ბავშვის საუკეთესო ინტერესი უნდა იყოს გადაწყვეტილების მიღებისას პირველ პლანზე დაყენებული (მე-3 მუხლი, CRC)
- ბავშვებს უნდა შეეძლოთ გამოხატონ თავიანთი შეხედულებები თავისუფლად და მათ მოსაზრებებს უნდა მიეცეთ "სათანადო წონა" მათი ასაკისა და სიმწიფის დონის

გაეროს ბავშვთა ფონდისა და UNHCR-ის ერთობლივი ანგარიში - *უსაფრთხო და სათანადო, რისი გაკეთება შეუძლიათ სახელმწიფოებს, რომ უზრუნველყონ მზრუნველობის გარეშე დარჩენილი და დაცილებული ბავშვების საუკეთესო ინტერესები ევროპაში* - აღწერს საუკეთესო ინტერესის შეფასებას, როგორც მარტივ და განგრძობით პროცედურას გადაწყვეტილების მისაღებად იმის შესახებ, თუ რა გადაუდებელი ღონისძიებები შედის კონკრეტული ბავშვის საუკეთესო ინტერესში. საუკეთესო ინტერესის შეფასება უნდა მოხდეს მისი დაკავების გადაწყვეტილების მიღებამდე და უნდა ახდენდეს იმ გადაუდებელი მოქმედებების იდენტიფიცირებას, რაც ბავშვის საუკეთესო ინტერესშია. ყველა ბავშვისთვის განხილული უნდა იყოს დაკავების სათანადო ალტერნატივა - როგორიცაა სხვა ოჯახში ან თავშესაფრის ქვეყანაში ბინადარ ნათესავთან გაშვება, მინდობით ზრუნვა, ზედამხედველობის ქვეშ დამოუკიდებლად ცხოვრება, ან საცხოვრებელ სახლებში ცხოვრება.

დაკავების კონტექსტში, ბავშვზე დაკავების მნიშვნელოვანი გავლენის გათვალისწინებით, საუკეთესო ინტერესის შეფასება უნდა მოხდეს როგორც მზრუნველობის გარეშე დარჩენილი და დაცილებული ბავშვებისთვის, ასევე ოჯახში მყოფი ბავშვებისთვის. ის უნდა წარიმართოს სახელმწიფოში არსებული ბავშვთა დაცვის სისტემების პატივისცემით, სხვა სათანადო

სააგენტოებთან და პარტნიორებთან თანამშრომლობით. საუკეთესო ინტერესის შეფასება მოიცავს ბავშვთან გასაუბრებას და მასთან შესაფერის კონსულტაციას, ისევე როგორც დამატებითი ინფორმაციის შეგროვებას, რომელსაც ახორციელებენ ბავშვთა კეთილდღეობისა და დაცვის საკითხებში სათანადო ექსპერტიზის მქონე თანამშრომლები. საუკეთესო ინტერესების შეფასება უნდა მოიცავდეს ბავშვის შესაძლებლობებსა და განვითარებას და უნდა იყოს კორექტირებული ან გადახედილი დროთა განმავლობაში.

კოსტა რიკას ბავშვთა დაცვის ინსტიტუტმა UNHCR-თან და გაეროს ბავშვთა ფონდთან და მიგრაციის უწყებასთან კოორდინაციით, შეიმუშავა პროტოკოლი ლტოლვილის ან/და მოქალაქეობის არმქონეობის მდგომარეობაში მყოფი, მზრუნველობის გარეშე დარჩენილი და დაცილებული ბავშვებისთვის. პროტოკოლი ადგენს პანელს, რომელიც შედგება ზემოთ ხსენებული ერთეულებისგან და რომელიც განსაზღვრავს ბავშვის საუკეთესო ინტერესს და აღასრულებს მოკვლევის პროცედურებს, სადაც აუცილებელია.

ასაკის შეფასება

ასაკის შეფასება უნდა მოხდეს მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც ბავშვის ასაკი დგას ეჭვქვეშ და წარმოადგენს ყოვლისმომცველი შეფასების ნაწილს, რომელიც ითვალისწინებს ფიზიკურ გარეგნობას, პირის ფსიქოლოგიურ მომწიფებას და კულტურულ ფაქტორებს. ასაკის შეფასება უნდა წარიმართოს უსაფრთხო, ბავშვსა და გენდერზე მორგებული და სამართლიანი ფორმით, ადამიანის ღირსების სათანადო დაცვით. თუ სამედიცინო შემოწმება ჩაითვლება აუცილებლად, ყველაზე არაინვაზიური მეთოდები უნდა იყოს გამოყენებული. ასაკთან დაკავშირებით გაურკვევლობის შემთხვევაში, სახელმწიფომ პირი უნდა ჩათვალოს ბავშვად (UNHCR-ი, აღმასრულებელი კომიტეტის დასკვნა No. 107 (LIII), 2007). ასაკის შეფასება დაცვის მნიშვნელოვანი მექანიზმია ბავშვთა დაკავების წინააღმდეგ.

ნაადრევი გათავისუფლება ან/და სათანადო გადამისამართება

მექანიზმები - მათ შორის ვინაობის, ჯანმრთელობისა და სხვა სახის სკრინინგი, ან/და მიღების პროცედურები და დაკავების რეესტრი - ისე უნდა იყოს შემუშავებული, რომ განაპირობებდეს სათანადო შეფასებასა და გადამისამართებას. ბავშვები უნდა გადაეცნენ შესაბამის მზრუნველობის დაწესებულებებს დაუყოვნებლივ, იმისთვის, რომ რაც შეიძლება სწრაფად მოხდეს მათი მზრუნველობის, უსაფრთხოების, განათლებისა და ჯანმრთელობის საჭიროებების დაკმაყოფილება.

ირლანდიაში, როდესაც იმიგრაციის ოფიცერი აღმოაჩენს მზრუნველობის გარეშე დარჩენილ და დაცილებულ ბავშვებს, დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს და გადაამისამართოს ბავშვი ბავშვისა და ოჯახიის სააგენტოში (Child and Family Agency). ეს უკანასკნელი აერთიანებს ჯანმრთელობის სერვისის აღმასრულებლის სპეციალისტებს, სოციალურ მუშაკთა გუნდს თავშესაფრის მაძიებელი დაცილებული ბავშვებისთვის. გადამისამართების შემდეგ, ბავშვის დაცვის საჭიროების შეფასება წარიმართება პროფესიონალი, კვალიფიციური სოციალური მუშაკის მიერ. ამ შეფასების შედეგი გამოიყენება ბავშვის ინდივიდუალური, მზრუნველობის ნორმალიზებული გეგმისთვის. ბავშვზე მიმაგრებული სოციალური მუშაკი პირველადი შეფასების შემდეგ დაუყოვნებლივ ხდება პასუხისმგებელი მზრუნველობის გეგმის მართვასა და შესრულებაზე.

ოჯახის მოკვლევა და გაერთიანება

(აშკარა) ოჯახური კავშირების არარსებობა არ უნდა იყოს დაკავებული ბავშვის გათავისუფლებისთვის წინაღობა.

ბავშვის ოჯახის წევრების ან პირველადი კანონიერი ან ჩვეულებითი მზრუნველის ძიება და მათი ერთად შეკრება გრძელვადიანი მზრუნველობის დასამკვიდრებლად ან გასაახლებლად უნდა მოხდეს რაც შეიძლება ადრე. კონტაქტების აღსადგენი პროცედურები უნდა შეიცავდეს ბავშვის დაცვისთვის საჭირო დაცვის მექანიზმებს იმ შემთხვევებისთვის, თუ ბავშვები ვერ გაერთიანდებიან ოჯახის წევრებთან. თავშესაფრის მაძიებელი ბავშვები ოჯახის გაერთიანების მიზნით არ უნდა

- ბავშვებს აქვთ ოჯახის მთლიანობის უფლება (მათ შორის მე-5, მე-8 და მე-16 მუხლები, CRC), უფლება იცოდნენ თავიანთი მშობლები და იყვნენ მათი მზრუნველობის ქვეშ (მუხლები მე7(2) და მე-18, CRC), და არ იყვნენ მათი ნების წინააღმდეგ მშობლებს დაცილებულნი (მე-9 მუხლი, CRC).
- ბავშვს, რომელსაც დროებით ან მუდმივად ჩამოერთვა ოჯახური გარემო, ან რომლის საუკეთესო ინტერესები არ იძლევა შესაძლებლობას დარჩეს ამ გარემოში, განსაკუთრებული დაცვისა და დახმარების უფლება აქვს (მე-20 მუხლი, CRC).
- ოჯახის გაერთიანების მოთხოვნებს, მათ შორის ბავშვთან გაერთიანების მიზნით ოჯახების შემოსვლისა და ყოფნის უფლებას, უნდა მოეპყრონ პოზიტიურად და დაჩქარებული ფორმით (მე-10 და 22-ე მუხლები, CRC).

იყვნენ დაბრუნებულები წარმოშობის ქვეყანაში თავშესაფრის პროცედურების დასრულებამდე და იმის დადგენამდე, რომ ეს არის მათ საუკეთესო ინტერესებში. UNHCR-თან, წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტთან და სხვა საერთაშორისო სააგენტოებთან და ორგანიზაციებთან თანამშრომლობას შეუძლია ამ საკითხების ხელშეწყობა (მუხლი 22(2), CRC).

ფინეთის უწყებებს აქვთ ფორმალური შეთანხმება არასამთავრობო ორგანიზაციასთან - საერთაშორისო სოციალური სერვისების გენერალური სამდივნო, რათა ამ უკანასკნელმა განახორციელოს ოჯახის ან კანონიერი მეურვის მოკვლევა მზრუნველობის გარეშე დარჩენილი და დაცილებული ბავშვებისთვის. შეთანხმების შესაბამისად, მოკვლევა არ განხორციელდება, თუ გახდება ცხადი, რომ ბავშვი ან ოჯახი შეიძლება დადგეს საფრთხის წინაშე. მოკვლევის შეწყვეტის გადაწყვეტილება მიიღება საერთაშორისო სოციალური სერვისის ხელმძღვანელობით, თუმცა ამის მოთხოვნა შეუძლია ბავშვსაც ან მის კანონიერ წარმომადგენელს ან/და მეურვეს.

იტალიაში ოჯახის მოკვლევა და ოჯახის შეფასება წარიმართება მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ შრომისა და სოციალური პოლიტიკის სამინისტროსთან არსებული შეთანხმებით, ბავშვის მოთხოვნის საფუძველზე და ბავშვის და მისი ოჯახის ინფორმირებული თანხმობით. იმის შეფასება, უნდა მოხდეს თუ არა ბავშვის საკუთარ ოჯახთან წარმოშობის ქვეყანაში გაერთიანება და რეინტეგრაცია, წარიმართება ბავშვთან, მის ოჯახთან, მიგარციის საერთაშორისო ორგანიზაციასთან და სოციალური სერვისების წარმომადგენლებთან ახლო თანამშრომლობით და მტკიცდება შრომის სამინისტროს მიერ. *შენიშვნა:* თავშესაფრის მაძიებლებისთვის, დაბრუნების პროცედურასთან დაკავშირებული ნებისმიერი საკითხი უნდა გადაიდოს მათ თავშესაფრის განაცხადზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე.

ICRC

UNHCR-სა და წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტს გრძელვადიანი თანამშრომლობის ისტორია აქვთ ლტოლვილი დ UNHCR-ის მზრუნველობის ქვეშ მყოფი სხვა ბავშვების ოჯახური კავშირების აღდგენის საკითხებში. ოჯახური კავშირების აღდგენის მოქმედებები ხორციელდება

ოჯახური კავშირების ქსელის მიერ, რომელიც მოიცავს წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის მოკვლევის ცენტრალურ სააგენტოს, წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის დელეგაციებსა და მსოფლიოს მასშტაბით მოკვლევის სერვისის 189 ეროვნულ საზოგადოებას. საერთაშორისო წითელი ჯვრის კომიტეტის მოკვლევის ცენტრალური სააგენტო მოქმედებს როგორც კოორდინატორი და ტექნიკური მრჩეველი ოჯახური კავშირების ქსელისთვის. UNHCR-ი და სახელმწიფოები რეგულარულად მუშაობენ ლტოლვილთა, მოქალაქეობის არმქონე პირთა და თავშესაფრის მაძიებელთა საქმეებზე, რომლებიც ეძებენ საყვარელ ადამიანებს, განსაკუთრებით მზრუნველობის გარეშე დარჩენილი და დაცილებული ბავშვების საქმეებზე, წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტსა და ეროვნულ საზოგადოებებში ოჯახური კავშირების აღდგენის სერვისებისთვის.

თავშესაფრის პრიორიტეტული წარმოება და ასაკისთვის შესაფერისი ინფორმაცია

- ბავშვის საუკეთესო ინტერესში, თავშესაფრის მაძიებელი ბავშვების საქმე უნდა იყოს წარმოებისთვის პრიორიტეტული (აღმასრულებელი კომიტეტის დასკვნა 107 (LVIII) – 2007).
- თავშესაფრის მაძიებელ ბავშვებს აქვთ UNHCR-თან დაკავშირების უფლება (UNHCR-ის სახელმძღვანელო პრინციპები დაკავების შესახებ 2012; UNHCR-ის აღმასრულებელი კომიტეტის დასკვნა, No. 85 (XLIX), 1998).

პრიორიტეტული წარმოება ნიშნავს შემცირებულ დალოდების ვადებს თავშესაფრის პროცედურის თითოეულ ეტაპზე, მათ შორის განაცხადზე გადაწყვეტილების გამოცემის დროსაც. თუმცა, პროცედურის დაწყებამდე, ბავშვებს სჭირდებათ მოსამზადებლად და თავიანთი გამოცდილების გადმოსაცემად საკმარისი დრო. საჭიროა კანონიერი წარმომადგენლობა. მზრუნველობის გარეშე დარჩენილი და დაცილებული ბავშვებისთვის შეიძლება მოთხოვნილი იყოს პროცედურის მიმდინარეობისას დანიშული მეურვის დასწრება. თავშესაფრის პროცედურა, ისევე როგორც გადაწყვეტილება, უნდა იყოს ახსნილი ბავშვისთის გასაგები ფორმითა და ენით (მაგ. დასურათებული წიგნი, ვიდეო მასალა).

მექსიკაში, მექსიკის ლტოლვილთა კომისიამ (COMAR), მიგრაციის ეროვნულმა ინსტიტუტმა (INM) და UNHCR-მა შეიმუშავეს იდენტიფიცირების პროტოკოლი მზრუნველობის გარეშე დარჩენილი და დაცილებული ბავშვებისთვის თავშესაფრის პროცედურებზე წვდომის გასაუმჯობესებლად. მიგრაციის ეროვნული ინსტიტუტის ბავშვის დაცვის ოფიცრები მომზადებულები არიან პოტენციურ ლტოლვილ ბავშვთა იდენტიფიცირების საკითხებში და

მათ ამისამართებენ მექსიკის ლტოლვილთა კომისიაში, მექსიკის ლტოლვილთა გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოში. ისინი ბავშვთა ინფორმირებისთვის იყენებენ UNHCR-ის მიერ მომზადებულ ვიდეოს მექსიკაში თავშესაფრის ძიების უფლების შესახებ. ვიდეო იყენებს ანიმაციას და ბავშვისთვის შესაფერის ენას.

სტანდარტული პროცედურების თანახმად, ვიდეოს ნახვის შემდეგ ბავშვს სთხოვენ, საკუთარი სიტყვებით გადმოსცეს ვიდეოს შინაარსი. ბავშვის დაცვის ოფიცერი შემდეგ განუმარტავს ბავშვს ნებისმიერ საკითხს და აწვდის მას თავშესაფრის პროცედურის შესახებ ინფორმაციას. ბავშვის დაცვის ოფიცერმა მექსიკის ლტოლვილთა კომისიასთან კომუნიკაცია უნდა მოახდინოს წერილობით და არაუგვიანეს 72 საათისა, როდესაც ბავშვი დაინტერესებულია თავშესაფრის განაცხადის წარდგენით, ან თუ ითვლება, რომ ბავშვს სჭირდება ლტოლვილის სახით საერთაშორისო დაცვა. უკანასკნელ შემთხვევაში მექსიკის ლტოლვილთა კომისია უნდა დაუკავშირდეს ბავშვს, რათა გაიგოს მეტი მისი პოზიციის შესახებ და დაიწყოს თავშესაფრის პროცედურები. ოჯახის ინტეგრირებული განვითარების ეროვნული სისტემა ასევე მონაწილეობს ასეთ საკითხებში, თან ახლავს ბავშვს და უწევს მას ემოციურ მხარდაჭერას.

ვიდეო ხელმისაწვდომია:
https://www.youtube.com/watch?v=93OgdoQBMnE&feature=youtu.be

2. შესაძლებლობები მზრუნველობის გარეშე დარჩენილი და დაცილებული ბავშვებისთვის

გადაუდებელი შემთხვევებისთვის ალტერნატიული მზრუნველობის შესაძლებლობების მთელი წყება, მოკლე და გრძელვადიანი მზრუნველობა უნდა იყოს ხელმისაწვდომი მზრუნველობის გარეშე დარჩენილი და დაცილებული ბავშვებისთვის მათი სტატუსის გარკვევამდე. პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს ოჯახურ ან საზოგადოებრივ გადაწყვეტებს, ბავშვთა დაცვის ეროვნული სისტემის შესაბამისად. ალტერნატიული მზრუნველობა უნდა იყოს გათვალისწინებული როგორც დროებითი ზომა ვიდრე ხდება ოჯახის მოკვლევა და იმ დრომდე, ვიდრე ბავშვები გაერთიანდებიან ოჯახის წევრებთან, თუ ეს შესაძლებელი და სათანადოა. პირველ რიგში უნდა მოხდეს ოჯახური გადაწყვეტის გათვალისწინება, ხოლო საცხოვრებელ ადგილას ზრუნვა უნდა იყოს გათვალისწინებული მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც ოჯახური გადაწყვეტა შეუძლებელია ან არ არის ბავშვის საუკეთესო ინტერესებში, და რაც შეიძლება მოკლე ვადით.

- არსებული კავშირის მქონე დედმამისშვილები პრინციპში არ უნდა იყვნენ დაცილებულნი ალტერნატიულ შესაძლებლობებში განთავსებით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არსებობს ბოროტად გამოყენების აშკარა რისკი ან ბავშვის საუკეთესო ინტერესის სხვა გამართლება.
- სადაც შესაძლებელია, მზრუნველობის გარეშე დარჩენილი და დაცილებული ბავშვები უნდა იყვნენ გათავისუფლებულნი ოჯახის მზრუნველობის ქვეშ, მათ შორის თავშესაფრის მაძიებელი ან ლტოლვილი ოჯახის წევრების ან სხვების, ვისაც აქვთ თავშესაფრის ქვეყანაში ბინადრობა.
- ვინაიდან მზრუნველობის გარეშე დარჩენილი და დაცილებული ბავშვები არიან ბოროტად გამოყენებისა და ექსპლუატაციის მომატებული რისკის ქვეშ, მონიტორინგი და სპეციფიური მხარდაჭერა უნდა იყოს გათვალისწინებული მათი დაცვის უზრუნველსაყოფად.
- ზრუნვის ალტერნატიული შესაძლებლობები უნდა იყოს მომზადებული ბავშვზე მზრუნველობაში კომპეტენტური უწყების მიერ, რომელიც უზრუნველყოფს ბავშვის მიერ სათანადო ზედამხედველობის მიღებას (UNHCR-ის სახელმძღვანელო პრინციპები დაკავების შესახებ, პუნქტი 54).
- ბავშვს, რომელიც კომპეტენტური უწყებების მიერ მოთავსებული იქნა მზრუნველობის მიზნით […], აქვს უფლება პერიოდული განხილვის [მისთვის გაწეული მოპყრობისა] და მის განთავსებასთან დაკავშირებული ყველა სხვა გარემოებისა (მუხლი 25, CRC, UNHCR-ის სახელმძღვანელო პრინციპები დაკავების შესახებ, პუნქტი 47).

სასიცოცხლო მნიშვნელობისაა, დადგინდეს ცხადი სტანდარტები და პროცედურები, რათა უზრუნველყოფილი იყოს, რომ მზრუნველობის ალტერნატიული გადაწყვეტები ბავშვს იცავს და არ აზიანებს მას. ბავშვებისთვის ალტერნატიული მზრუნველობის მიწოდებაში ჩართული

ყველა ორგანო და პირი უნდა იღებდეს ამის გასაკეთებლად სათანადო ნებართვას კომპეტენტური უწყებისგან და უნდა ექვემდებარებოდეს ამ უკანასკნელისგან რეგულარულ მონიტორინგსა და განხილვას. უნდა შემუშავდეს მზრუნველობის მიმწოდებლის პროფესიული და ეთიკური შესაბამისობის შესაფასებელი სათანადო კრიტერიუმები, ისევე როგორც მათი აკრედიტაცია და ზედამხედველობა.

ბავშვზე მზრუნველობის სისტემაზე პასუხისმგებელი შესაბამისი სამინისტროების გარდა, კომპეტენტური ადგილობრივი უწყებები, თემთა ლიდერები და სათანადოდ ავტორიზებული სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციები წარმოადგენენ მნიშვნელოვან დაინტერესებულ მხარეებს, რომლებიც ჩართულები უნდა იყვნენ მზრუნველობისა და მიღების შესაძლებლობების შემუშავებაში.

საქმის მართვა

კვებეკში, კანადაში თავშესაფრის მაძიებელთა მიღებისა და ინტეგრაციის რეგიონულ პროგრამას (PRAIDA) აქვს პროვინციული ჯანმრთელობისა და სოციალური სერვისების სამინისტროს მიერ მინიჭებული მანდატი, მოემსახუროს თავშესაფრის მაძიებელთა საჭიროებებს, მათ შორის პროვინციაში არსებულ მზრუნველობის გარეშე დარჩენილი და დაცილებული ბავშვების საჭიროებებს. თავშესაფრის მაძიებელთა მიღებისა და ინტეგრაციის რეგიონულ პროგრამას შეთანხმება აქვს იმიგრაციისა და ლტოლვილთა საბჭოსთან (Immigration and Refugee Board), იმოქმედოს როგორც "დანიშნულმა წარმომადგენელმა" თავშესაფრის მაძიებელ მზრუნველობის გარეშე დარჩენილი და დაცილებული ბავშვების უმრავლესობისთვის, ასევე იმ პირთათვის, რომლებსაც არ ესმით პროცედურების ბუნება. მზრუნველობის გარეშე დარჩენილი და დაცილებული ბავშვების შემთხვევაში, დანიშნული წარმომადგენელი არის თავშესაფრის მაძიებელთა მიღებისა და ინტეგრაციის რეგიონული პროგრამის სოციალური მუშაკი რომლის როლია შეინარჩუნოს და საჭიროების შემთხვევაში ურჩიოს საბჭოს, მოახდინოს ბავშვის ინფორმირება თავშესაფრის პროცესზე და ახლდეს ბავშვს იმიგრაციისა და ლტოლვილთა საბჭოში პროცედურებზე, რომელიც შეიძლება მოიცავდეს ორივეს- დაკავების განხილვას (თუ საჭიროა) და თავშესაფრის შესახებ მოსმენებს, დაეხმაროს ბავშვს მის საქმესთან დაკავშირებული მტკიცებულებების შეგროვებაში და იყოს მოწმე და, შესაძლებლობის ფარგლებში, მოახდინოს ბავშვის ინფორმირება და კონსულტირება მის საქმესთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღებისას.

მეორე სოციალური მუშაკი ასევე ინიშნება თავშესაფრის მაძიებელთა მიღებისა და ინტეგრაციის რეგიონული პროგრამის მიერ; მისი ფუნქციაა დაეხმაროს ბავშვს გაუმკლავდეს ფსიქოლოგიურ საჭიროებებს, გადაამისამართოს ის სათანადო სამედიცინო მომსახურების მისაღებად, და ასევე დააკავშიროს ბავშვი იმ ორგანიზაციებთან, რომლებიც მუშაობენ

ოჯახის მოკვლევასა და გაერთიანებაზე. თავშესაფრის მაძიებელთა მიღებისა და ინტეგრაციის ეროვნული პროგრამა ასევე აფასებს სათანადო მიმღებ ოჯახს. ორივე სოციალურ მუშაკს აქვს ერთმანეთთან კავშირი, რათა უზრუნველყონ ბავშვის საჭიროებისადმი თანმიმდევრული მიდგომა.

თავშესაფრის მაძიებელთა მიღებისა და ინტეგრაციის ეროვნული პროგრამა ზოგადად ერთვება როგორც კი დადგინდება მზრუნველობის გარეშე დარჩენილი და დაცილებული ბავშვების არსებობა (როგორც წესი, შემოსვლის პუნქტში) და ბავშვზე პასუხისმგებელი რჩება ვიდრე ის გახდება 18 წლის, ან უფრო ადრე, იმ შემთხვევაში, როდესაც ბავშვის ქვეყნიდან გაყვანა ხდება დარჩენის ყველა კანონიერი გზის ამოწურვის შემდეგ. მზრუნველობის გარეშე დარჩენილი და დაცილებული ბავშვები, რომლებიც მიიღებენ კანადის მუდმივ ბინადრობას, ლტოლვილის სტატუსის მინიჭების შემდეგ თავშესაფრის მაძიებელთა მიღებისა და ინტეგრაციის ეროვნული პროგრამის მიერ გადაეცემიან ახალგაზრდების დაცვის დირექტორს (Youth Protection Director), რომელიც ზედამხედველობას უწევს ახალგაზრდების დაცვის აქტის გამოყენებას. ბავშვი, თანხმობის შემთხვევაში, შეიძლება დარჩეს ოჯახის მხარდაჭერის ქვეშ; წინააღმდეგ შემთხვევაში ახალგაზრდების დაცვის დირექტორს აქვს ვალდებულება, მოძებნოს სათანადო ფორმის საცხოვრებელი, ვიდრე მზრუნველობის გარეშე დარჩენილი და დაცილებული ბავშვი მიაღწევს სრულწლოვანებას. ასევე ხდება სოციალური მუშაკების შიდა ზედამხედველობა და ისინი გადიან ყოველთვიურ კლინიკურ შეფასებასა და სარგებლობენ პროფესიონალური მხარდაჭერით.

მზრუნველობის გარეშე დარჩენილი და დაცილებული ბავშვებისთვის ორიენტაციისა და ზედამხედველობის ცენტრი

ბელგიაში მეურვეობის სერვისის მიერ იდენტიფიცირებული ყველა მზრუნველობის გარეშე დარჩენილი და დაცილებული ბავშვი, განურჩევლად ადმინისტრაციული სტატუსისა (თავშესაფრის მაძიებელი თუ სხვა მიგრანტი), მათ შორის, საზღვრის კვეთისას იდენტიფიცირებულნი და ქვეყანაში არალეგალურად მყოფნი, პირველად მიიღებიან ორიენტაციისა და დაკვირვების ცენტრში, რომელსაც მართავს თავშესაფრის მაძიებელთა მიმღები ბელგიის ფედერალური სააგენტო (Fedasil). ისინი ცენტრში რჩებიან 2-4 კვირიანი ვადით. ცენტრი წარმოადგენს მცირე ზომის დაცული ხასიათის ღია მიმღებ ცენტრს, რომელიც ადაპტირებულია ბავშვთა საჭიროებებზე. ცენტრს შეუძლია, მიიღოს 50-მდე ახლად ჩამოსული ბავშვი, რომლებსაც ზედამხედველობას უწევენ მზრუნველობის გარეშე დარჩენილი და დაცილებული ბავშვების მიღების, დაკვირვებისა და ორიენტაციის საკითხებში სპეციალიზირებული სოციალური მუშაკები.

მათი ყოფნის მანძილზე, მეურვეობის სერვისი ადასტურებს ბავშვის ვინაობას და მისი, როგორც მზრუნველობის გარეშე დარჩენილი და დაცილებული ბავშვის სტატუსს. ცენტრის თანამშრომლებს აქვთ ექსპერტული ცოდნა და მიჰყვებიან პროცედურებს, რათა დაადგინონ სხვა ისეთი მოწყვლადობა, როგორიცაა ტრეფიკინგის მსხვერპლნი, ფიზიკური, გონებრივი ან ფსიქოლოგიური პრობლემები, ან წამალზე დამოკიდებულება. გამოიყენება როგორც ინდივიდუალური გასაუბრებები, ასევე განგრძობითი დაკვირვება. ბავშვები მონაწილეობენ ცენტრის მიერ ორგანიზებულ საგანმანათლებლო აქტივობებში, მათ შორის გადიან ორიენტაციას პროცედურებსა და ბელგიაში ცხოვრების შესახებ. დაკვირვების ამ ფაზის შემდეგ ბავშვის გადამისამართება ხდება ყველაზე შესაფერის მიმღებ სტრუქტურაში, მისი განსაკუთრებული საჭიროების შესაბამისად (ორსული ბავშვები, პატარა ბავშვები, ფსიქოლოგიური პრობლემების მქონე ბავშვები, ტრეფიკინგის პოტენციური მსხვერპლი ბავშვები) და დადიან ბელგიურ სკოლებში.

დაცვაზე ორიენტირებული ზომებით, სამედიცინო და ფსიქოლოგიური შემოწმებებით (ადგილზე ან გარეთ) და ფსიქო-სოციალური აქტივობებით (ხელოვნების თერაპია) ხდება სპეციფიური მხარდაჭერის ორგანიზება ყველაზე მოწყვლადი ბავშვებისთვის.

მინდობით აღზრდა

მინდობით აღზრდა: როდესაც მზრუნველობის გარეშე დარჩენილი და დაცილებული ბავშვები ან ბავშვები, რომლებზე ზრუნვაც არ შეუძლიათ მათ მშობლებს, თავსდებიან კომპეტენტური უწყების მიერ ბავშვის ოჯახისგან განსხვავებულ, შერჩეულ, კვალიფიციურ, მოწონებულ და ზედამხედველობის ქვეშ მყოფ ოჯახში, საჭირო მზრუნველობის გასაწევად.

ამერიკის შეერთებულ შტატებში ლტოლვილთა განსახლების ოფისი (Office of Refugee Resettlement), რომელიც მდებარეობს ჯანმრთელობისა და ადამიანთა მომსახურების დეპარტამენტში, პასუხისმგებელია მზრუნველობის გარეშე დარჩენილი და დაცილებული ბავშვების გრძელვადიან ზრუნვაზე, მათ შორის სპონსორის დანიშვნაზე. ოჯახზე დაფუძნებული ასეთი ზრუნვა შეიძლება ორგანიზებული იყოს ბავშვის გაფართოებულ ოჯახში ან ოჯახის ახლო მეგობრებთან, რომლებიც ბავშვისთვისაა ცნობილი (ახლობლობით ზრუნვა) ან ოჯახის გარეთ არსებულ შინამეურნეობაში (მინდობით აღზრდა).

მინდობით აღზრდაში განთავსებამდე, თითოეული ბავშვისთვის ივსება "მომსახურების ინდივიდუალური გეგმა". ჩამოსვლისას, საქმის მმართველი ახდენს ბავშვების ანკეტირებას რათა შეაფასოს მათი განსაკუთრებული მოწყვლადობა ან განსაკუთრებული საჭიროებები,

მოახდინოს მათი პოტენციური სპონსორების იდენტიფიცირება, რომლებთანაც შეიძლება ბავშვის განთავსება და ბავშვის სამომავლო კეთილდღეობის უზრუნველყოფა.

შედარებით მოწყვლადი ბავშვები პრიორიტეტულნი არიან ოჯახის შეფასებისთვის, რომელსაც ახორციელებს ლტოლვილთა განსახლების ოფისის მიერ დაკონტრაქტებული არასამთავრობო ორგანიზაცია: ოჯახის შესწავლა აფასებს სპონსორ ოჯახს, პოტენციური სპონსორი ოჯახის შესაძლებლობას დააკმაყოფილოს ბავშვის საჭიროებები, და ასწავლის და ამზადებს პოტენციურ სპონსორს ბავშვის შესახვედრად და მისაღებად. ტარდება პოტენციური სპონსორის ოჯახში მცხოვრები ყველა ზრდასრული პირის შემოწმება, გასაუბრება და ოჯახში ვიზიტები.

ზოგიერთი მზრუნველობის გარეშე დარჩენილი და დაცილებული ბავშვი იღებს გათავისუფლების შემდგომ დამატებით სერვისებს ადგილობრივი სოციალური საქმის სააგენტოდან, რომელიც დაკონტრაქტებულია ლტოვლითა განსახლების ოფისის მიერ: სოციალური მუშაკი უწევს მზრუნველობის გარეშე დარჩენილ და დაცილებულ ბავშვს დახმარებას და ამისამართებს მას კანონიერი წარმომადგენლის მოსაძიებლად, სკოლაში ჩარიცხვის დასადასტურებლად, მეურვეობის მოსაპოვებლად, სამედიცინო, მენტალური ჯანმრთელობისა და სოციალური სერვისების მისაღებად, და ეხმარება იურიდიულ პროცედურებზე დასწრებაში.

ზოგადად, განთავსების პროცესი უნდა იყოს შესრულებული მზრუნველობის გარეშე დარჩენილი და დაცილებული ბავშვის ლტოლვილთა განსახლების ოფისის მფარველობის ქვეშ შესვლიდან 30 დღის ვადაში. ეს სერვისები შეიძლება შემცირდეს დროთა განმავლობაში, ბავშის საჭიროებების გათვალისწინებით.

დამოუკიდებელი ცხოვრება ზედამხედველობის ქვეშ

ზედამხედველობის ქვეშ დამოუკიდებელი ცხოვრება არის ისეთი საცხოვრებლის უზრუნველყოფა, სადაც მოზარდი ბავშვი, ან მოზარდ ბავშვთა ჯგუფი, ცხოვრობს დამოუკიდებლად. შედარებით უფროს მოზარდებს შეიძლება სურდეთ მარტო ან მსგავსი ასაკის მქონე პირებთან ერთად ცხოვრება. დამოუკიდებელი ცხოვრების შესაძლებლობა უნდა მიეცეთ მონიტორინგის ქვეშ და ასეთი ბავშვების მხარდაჭერაში საზოგადოების როლი მნიშვნელოვანია.

ჯგუფური ზრუნვა

ჯგუფური ზრუნვა არის შემთხვევა, როდესაც ბავშვები განთავსდებიან პატარა ჯგუფურ სახლებში, სადაც თავსდება ექვსიდან რვამდე ბავში ან ახალგაზრდა პირი, რომელიც იმართება როგორც საოჯახო სახლი და სადაც ბავშვები მზრუნველობას იღებენ საზოგადოების მუდმივი მზრუნველის მხრიდან. სადაც ოჯახური ზრუნვა ან დამოუკიდებელი ცხოვრება შეუძლებელია ან მიზანშეუწონელია, მცირე ჯგუფური ზრუნვა გაცილებით უფრო სასურველია, ვიდრე საცხოვრებელ სახლში ზრუნვის სხვა ფორმები. ზოგ შემთხვევებში მოზარდები შეიძლება უპირატესობას ანიჭებდნენ მცირე ჯგუფებში ზრუნვას, ვიდრე ოჯახურ ზრუნვას, ვინაიდან ის უფრო მეტ თავისუფლებას აძლევს მათ, თუმცა ძალიან პატარა ბავშვებს უნდა მიენიჭოთ პრიორიტეტი საოჯახო ზრუნვისთვის.

იემენში, თავშესაფრის მაძიებელი და ლტოვლილი ბავშვებისთვის საზოგადოების მიერ წარმართული ზრუნვის ალტერნატიული სისტემა დაფუძნდა ადგილობრივი უწყებებისა და UNHCR-ის თანამშრომლობით ლტოვილთა ადგილობრივ ლიდერებთან. ხდება მცირე ჯგუფური სახლების დაქირავება (რომელსაც შეუძლია დაიტიოს 6-დან 8 ბავშვამდე) მეზობელი ოჯახების გვერდით, რომლებსაც ფრთხილად არჩევენ თემთა ლიდერები და რომლებიც თანხმდებიან, შეასრულონ ფორმალური ზედამხედველის როლი ბავშვებისთვის. თითოეული ბავშვი, რომელიც მოთავსებულია ალტერნატიული მზრუნველობის პროგრამაში გადის საუკეთესო ინტერესის შეფასებას ოჯახში რეგულარული ვიზიტისას ბავშვთა დაცვის პარტნიორის ან საზოგადოებრივი ჩართულობის მუშაკის მიერ.

საცხოვრებელ სახლში ზრუნვა არის ზრუნვა, რომლის მიწოდებაც ხდება არა-ოჯახურ ჯგუფურ გარემოში. ეს მოიცავს ტრანზიტულ/შუალედურ ზრუნვის ცენტრებს, ბავშვთა სახლებს, ობოლთა თავშესაფრებს, ბავშვთა სოფლებსა და კოტეჯებს, და სკოლა-ინტერნატებს, რომლებიც ძრითადად გამოიყენება ზრუნვის მიზნებისთვის. საცხოვრებელ სახლში ზრუნვა უნდა იყოს უკიდურესი არჩევანი, მისაღები მხოლოდ მაშინ, როდესაც ოჯახური ზრუნვა ან მცირე ჯგუფში ზრუნვა შეუძლებელია ან სადაც ოჯახში ზრუნვა არ შედის ბავშვის საუკეთესო ინტერესში.

საცხოვრებელ სახლში ზრუნვა

ისრაელში მინისტრთაშორისი კომიტეტის ერთობლივი გადაწყვეტილებით, რომელსაც ხელმძღვანელობს იუსტიციის სამინისტრო, 14-დან 17 წლამდე მზრუნველობის გარეშე დარჩენილი და დაცილებული ბავშვები, ისრაელის ახალგაზრდობასთან ერთად ინტეგრირებულები არიან საცხოვრებელ სკოლებში, რომლებსაც ჰქვიათ "ახალგაზრდული სოფლები". ისრაელის ახალგაზრდობა, რომელიც ირჩევს ასეთი ტიპის საშუალო განათლებას ძირითადად არიან მიგრანტი წარსულის ან სოციო-ეკონომიკური სირთულეების მქონე ახალგაზრდები.

ასეთ ახალგაზრდულ სოფლებში, რომელიც აერთიანებს 150-300 ახალგაზრდას, მზრუნველობის გარეშე დარჩენილი და დაცილებული ბავშვები თავსდებიან მცირე ზომის ჯგუფებში, (მზრუნველობის გარეშე დარჩენილი და დაცილებული ბავშვების საერთო რიცხვი, როგორც წესი, შეადგენს მთლიანი სკოლის პოპულაციის მაქსიმუმ 10%). თითოეული ბავშვი, რომელიც ჩამოდის დაკავების ცენტრიდან, გადის მიღებას და მისი მდგომარეობის მონიტორინგი ხდება პასუხისმგებელი თანამშრომლის მიერ (როგორც წესი ბავშვის ან ახალგაზრდის მზრუნველი მუშაკი/სოციალური მუშაკი). ახალგაზრდულ სოფელში ბავშვების დაყოფა ხდება ასაკობრივ ჯგუფებად, ბიჭები და გოგოები ცალკე, და ცხოვრობენ ისრაელის ახალგაზრდობასთან ერთად, ჯგუფებში. აქცენტი კეთდება საზოგადოებრივ მიდგომაზე - მაგ. სადაც თანამშრომლები თავიანთ ოჯახებთან ერთად ცხოვრობენ მოსწავლეების გვერდით. თანამშრომლები არიან დირექტორები, მასწავლებლები, აღმზრდელები, ბავშვებზე და ახალგაზრდებზე მზრუნველები, სოციალური მუშაკები და საჭიროებისამებრ, სხვა ფსიქო-სოციალური თანამშრომლები და მოხალისეები, როგორიცაა ეროვნული სერვისის მოხალისეები. ბავშვებისთვის უზრუნველყოფილია უსაფრთხო გარემო, ადგილობრივ სკოლასთან ხელმისაწვდომობა და ყველა სხვა ყოვლისმომცველი სერვისი მათი განვითარების საჭიროებიდან გამომდინარე (ჯანდაცვა, სტომატოლოგიური მომსახურება, ტანსაცმელი, სრული კვება და საცხოვრებელი, სპორტი და სხვა სოციალური აქტივობები, ჯიბის ფული, ფსიქოლოგიური კონსულტაცია საჭიროების შემთხვევაში, და ა.შ.). სადაც შესაძლებელია, არდადეგების პერიოდის გასატარებლად ხდება მზრუნველობის გარეშე დარჩენილი და დაცილებული ბავშვების დაწყვილება ისრაელის "მიმღებ ოჯახებთან".

ბავშვები სარგებლობენ გადაადგილების თავისუფლებით და მიეწოდებათ პირადობის დამადასტურებელი ცნობები, რომელიც გაიცემა თითოეული ახალგაზრდული სოფლის მიერ ცალკე. ისრაელის იმიგრაციის უწყება ახალგაზრდულ სოფელში მცხოვრებ, მზრუნველობის გარეშე დარჩენილ და დაცილებულ ბავშვებზე გასცემს "პირობითი გაშვების" ვიზას, რომელიც ანალოგიურია თავშესაფრის მაძიებლის მიერ ისრაელში მიღებული ვიზისა. ახალგაზრდული სოფლები არის განათლების სამინისტროს ზედამხედველობისა და დაფინასნების ქვეშ. 2008-2014 წლებში 400-ზე მეტი მზრუნველობის გარეშე დარჩენილი და დაცილებული ბავშვი აფრიკის ქვეყნებიდან განთავსდა ახალგაზრდულ სოფლებში.

ინდონეზიაში არსებობს სპეციალური თავშესაფრები მზრუნველობის გარეშე დარჩენილი და დაცილებული ისეთი ბავშვებისთვის, რომლებიც არიან ლტოლვილები, ან რომლებმაც გააკეთეს თავშესაფრის შესახებ განაცხადი. ინდონეზიაში არსებული UNHCR-ის ოფისი და მისი პარტნიორი ეკლესიის მსოფლიო სერვისი (Church World Service) მართავს ორ თავშესაფარს, ხოლო მთავრობის სოციალური კეთილდღეობის სამინისტრო მართავს მესამე თავშესაფარს. ჯამში, თავშესაფრები იტევენ 124 ბავშვამდე. ეკლესიის მსოფლიო სერვისი

უზრუნველყოფს ელემენტარულ საჭიროებებს, ჯანმრთელობისა და ფსიქო-სოციალურ ზრუნვას, ენისა და კომპიუტერული უნარების კლასებს, და ხელს უწყობს რეკრეაციულ აქტივობებს. სამინისტროს სოციალური მუშაკები UNHCR-ის, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციისა და სხვა პარტნიორების დახმარებით, ანალოგიურად აქცევენ ყურადღებას მთავრობის მიერ მართულ თავშესაფარში არსებულ ბავშვებს. დაწესებულებებში განთავსებულ ბავშვებს მონაწილეობის მიღება შეუძლიათ ისეთ საზოგადოებრივ საქველმოქმედო ღონისძიებებში, როგორიცაა პარკის დასუფთავების კამპანია. UNHCR-ი მთავრობასთან და სხვა პარტნიორებთან ერთად მუშაობს ლტოლვილი და თავშესაფრის მაძიებელი ბავშვებისთვის საცხოვრებელი დაწესებულებების დაფუძნების გზების პოვნაზე, ვინაიდან საჭიროება გაცილებით აღემატება არსებული თავშესაფრების შესაძლებლობებს.

კანადაში წითელი ჯვრის პირველი კონტაქტის პროგრამა პირველად დაფუძნდა კანადის წითელი ჯვრის მიერ - ტორონტოს რეგიონში, ქალაქ ტორონტოს ლტოლვილთა სახლის სამუშაო ჯგუფთან თანამშრომლობით. მას შემდეგ ის გაფართოვდა და გავრცელდა კანადის სხვა ნაწილებში. თავშესაფრის მაძიებლების ეს მხარდამჭერი პროგრამა ასევე ხელს უწყობს ტორონტოს გაფართოებულ ტერიტორიაზე 16-17 წლის, მზრუნველობის გარეშე დარჩენილი და დაცილებული ბავშვების გათავისუფლებასა და თავშესაფარში გადამისამართებას. კანადის საზღვრის სერვისის სააგენტოსთან შეთანხმებით, მზრუნველობის გარეშე დარჩენილი და დაცილებული ბავშვის აეროპორტში ჩამოსვლისას, კანადის საზღვრის სერვისის სააგენტო უკავშირდება წითელ ჯვარს; და პირველი კონტაქტის პროექტი პოულობს ქალაქში სათანადო თავშესაფარს, რომელიც სთავაზობს ბავშვისთვის სათანადო სერვისებს.

ამავე დროს, კანადის საზღვრის სერვისის სააგენტო უკავშირდება McCarthy Tetrault-ს, საერთაშორისო იურიდიულ ფირმას და ითხოვს, რომ ამ უკანასკნელმა შეასრულოს მზრუნველობის გარეშე დარჩენილი და დაცილებული ბავშვისთვის "დანიშნული წარმომადგენელის" როლი შემოწმების პორტში. ეს შემოთავაზებული დანიშნული წარმომადგენელის პროგრამა დაარსდა UNHCR-ის მიერ კანადის სასაზღვრო სერვისის სააგენტოსთან, იმიგრაციისა და ლტოლვილთა საბჭოსთან, წითელ ჯვართან, Peel-ის ბავშვთა დახმარების საზოგადოებასთან და McCarthy Tetrault-თან კოორდინაციით. დანიშნული წარმომადგენელი შემდგომ ინიშნება იმიგრაციისა და ლტოლვილთა საბჭოს მიერ და პასუხისმგებელია ბავშვის ინტერესის დაცვაზე იმიგრაციისა და ლტოლვილტა საბჭოს პროცედურებში, ისევე, როგორც მათთვის თავშესაფრის პროცედურის განმარტებაზე. დანიშნულმა წარმომადგენელმა უნდა გადაწყვიტოს, შეინარჩუნოს მრჩეველი, და ასეთი მრჩევლის შენარჩუნების შემთხვევაში, მიაწოდოს მას ინსტრუქცია ან დაეხმაროს ბავშვს, მოახდინოს მრჩევლისთვის ინსტრუქციის მიცემა.

კანადის წითელი ჯვარი ასევე მართავს ცენტრს, სადაც ლტოლვილს შეუძლია მისვლა და სადაც მას ხელი მიუწვდება სერვისებზე, იღებს ინფორმაციას და 24 საათიან გადაუდებელ სატელეფონო მომსახურებას; ეს ცენტრი შესაძლებლობას აძლევს ბავშვებს, ტერიტორიაზე მყოფ თავშესაფრის მაძიებლებსა და ლტოლვილებს, დაეკონტაქტონ მათ ნებისმიერ დროს. პროექტი მუშაობს კვირაში 7 დღე და საშუალებას აძლევს ახალ, მზრუნველობის გარეშე დარჩენილ და დაცილებულ, ტორონტოში თავშესაფრის მაძიებელ ბავშვებს იპოვონ გადაუდებელი თავშესაფარი ჩამოსვლისთანავე.

3. შესაძლებლობები ბავშვიანი ოჯახებისთვის

- ბავშვებს უფლება აქვთ იცოდნენ თავიანთი მშობლების ვინაობა და იღებდნენ მშობლებისგან ზრუნვას (მუხლი 7(1), CRC.
- ბავშვებს აქვთ ოჯახის მთლიანობის, ოჯახური კავშირების და მათ პირად ცხოვრებაში და ოჯახების ცხოვრებაში უკანონო ჩარევის წინააღმდეგ დაცვის უფლება (მუხლი 5, 8 და 16 CRC; აღმასრულებელელი კომიტეტის დასკვნა No. 93, 2002).
- ბავშვების მათი ნების წინააღმდეგ მშობლებთან დაცილება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც კომპეტენტური უწყებები, რომელთა გადაწყვეტილებებიც ექვემდებარება სასამართლო განხილვას, დაადგენენ, რომ შესაბამისი კანონისა და პროცედურების თანახმად, ასეთი დაცილება აუცილებელია ბავშვის საუკეთესო ინტერესებისთვის (მუხლი 9(1), CRC). ასეთ დაცილებასთან დაკავშირებულ ნებისმიერ პროცედურაში, ყველა დაინტერესებულ მხარეს უნდა მიეცეს მონაწილეობისა და აზრის გამოხატვის შესაძლებლობა).
- ოჯახების დაკავება არ შეიძლება გამართლდეს მხოლოდ მშობლების ან მეურვეების იმიგრაციით ან სხვა სტატუსით. ყველა სათანადო ზომა უნდა იქნას მიღებული, რომ ბავშვი დაცული იყოს ყველა ფორმის დისკრიმინაციისგან და დასჯისგან ბავშვის მშობლების, კანონიერი მეურვეების ან ოჯახის სხვა წევრების სტატუსის საფუძველზე […] (მუხლი 2(2), CRC).
- სადაც ბავშვის მშობლებთან დაცილების თავიდან აცილება შეუძლებელია დაკავების კონტექსტში, ბავშვს, რომელიც ერთ ან ორივე მშობელს არის დაცილებული, უფლება აქვს შეინარჩუნოს პირადი ურთიერთობები და რეგულარული პირდაპირი კონტაქტი მშობლებთან, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს ეწინააღმდეგება ბავშვის საუკეთესო ინტერესებს (მუხლი 9(3), CRC). ამ კონტექსტში, ორივე მშობელსა და ბავშვს აქვს უფლება ჰქონდეს სახელმწიფოსგან ძირითადი ინფორმაცია ერთმანეთის ადგილსამყოფელის შესახებ, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ასეთი ინფორმაცია იქნება ბავშვისთვის საზიანო (მუხლი 9(4), CRC).

საზოგადოებაში ცხოვრება საქმეზე მომუშავე პირის მხარდაჭერით

2006 წლიდან ჰონგ კონგის სპეციალურ ადმინისტრაციულ რეგიონში (ჩნეთი), მთავრობის მიერ დაფინანსებული არასამთავრობო ორგანიზაციის პროგრამა - საერთაშორისო სოციალური სერვისი ჰონგ კონგი (ISSHK), განაცხადის განხილვის პერიოდში ახდენს მხარდაჭერას ლტოლვილის სტატუსზე განმცხადებლების და წამების შესახებ განმცხადებლებისა ("არ-გაძევების შემთხვევები"), მათ შორის ოჯახების და ბავშვების, რომლებიც გათავისუფლებულები არიან დაკავებიდან. გარდა ზოგადი მხარდაჭერისა, რომელსაც უწევენ არ-გაძევების სხვა მომთხოვნებს, ბავშვებს შეუძლიათ იარონ დაწყებით და საშუალო სკოლაში და იღებენ დახმარებას ნებისმიერი სახის სწავლის საფასურის, წიგნის, სასკოლო კვებისა და ტრანსპორტირების საკითხებში. უნივერსიტეტის დონეზე სპონსორობა, ისევე, როგორც ზრდასრული პირებისთვის პროფესიული სწავლების კურსები, უნდა დაამტკიცოს ჰონგ კონგის სპეციალური ადმინისტრაციული რეგიონის იმიგრაციის დირექტორატმა. ამ მხარდაჭერას აფინანსებს და მონიტორინგს უწევს სოციალური კეთილდღეობის დეპარტამენტი, რათა უზრუნველყოფილი იყოს საქმის მართვის მიდგომის გამოყენება და საჭირო სახელმწიფო სერვისებთან წვდომა.

ბელგიაში, 18 წელს ქვემოთ მყოფი ბავშვების ოჯახები, რომლებიც მოდიან საზღვარზე, ისევე როგორც უდოკუმენტო ოჯახები, რომელთა დაკავებაც ხდება ბელგიის ტერიტორიაზე, განთავსდებიან "ღია საოჯახო დაწესებულებებში", სახელმწიფოს საკუთრებაში მყოფ კომუნალურ სახლებში ან ბინებში, თუმცა ბელგიის კანონი ასეთს თვლის "დაკავების ადგილად". საცხოვრებლის პირობები ითვალისწინებს პირად ცხოვრებას და ადაპტირებულია ოჯახური ცხოვრებისა და ბავშვების საჭიროებებისთვის. ოჯახები უნდა დარჩნენ ამ ერთეულში საღამოს 9-დან დილის 9 საათამდე, ხოლო დანარჩენ დროს მათ შეუძლიათ ისარგებლონ გადაადგილების თავისუფლებით. ბავშვების ჩარიცხვა ხდება ადგილობრივ სკოლებში და ოჯახებს შეუძლიათ მიიღონ მნახველები ამ ერთეულებში.

მათი ყოფნის განმავლობაში ოჯახები იღებენ იმიგრაციის ოფისიდან "დამრიგებლის" მხარდაჭერას. დამრიგებლის ყოველდღიური ყოფნა მიმართულია ოჯახების დასახმარებლად რათა გაარკვიონ თავიანთი თავშესაფრის ან იმიგრაციის საქმე ან მოამზადოს ისინი დასაბრუნებლად. დამრიგებელი აგვარებს ყველა საჭირო შეხვედრას (ექიმთან, სკოლაში, უფასო ადვოკატთან, და ა.შ.) და ხელს უწყობს ოჯახების ყოველდღიურ ლოჯისტიკურ,

ადმინისტრაციულ და სამედიცინო მხარდაჭერას. დაკავშირებული ხარჯები, მათ შორის საჭმლისა და სხვა ნივთების საყიდელი ვაუჩერები ადგილობრივი სუპერმარკეტიდან გაიღება იმიგრაციის ოფისის მიერ და ნაწილობრივ სუბსიდირებულია ევროკავშირის დაბრუნების ფონდიდან (მომავალში ევროკავშირის თავშესაფრის, მიგრაციისა და ინტეგრაციის ფონდი, AMIF).

ოჯახის დაბრუნების პროცესი და ოჯახის დაბრუნების პანელი

გაერთიანებულ სამეფოში ოჯახის დაბრუნების პროცესი შედგება ოთხი ეტაპისგან: გადაწყვეტილების მიღება, ხელშეწყობილი დაბრუნება, მოთხოვნილი დაბრუნება და უზრუნველყოფილი დაბრუნება. პროცესი მიზნად ისახავს იმ ოჯახების ხელშეწყობას, რომლებსაც, აღმოჩნდა, რომ არ ესაჭიროებათ საერთაშორისო დაცვა ქვეყნის დატოვებაში ხელშეწყობილი ან მოთხოვნილი დაბრუნების ეტაპზე, ისევე, როგორც დაბრუნების უზრუნველსაყოფად აღსრულების გამოყენების თავიდან აცილებას, რომელიც შეიძლება მოიცავდეს დაკავებას. ეს კეთდება შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ოჯახს შორის დიალოგით, რათა მოამზადონ ისინი დაბრუნებისთვის და მისცენ მათ ქვეყნიდან გაყვანის გასაჩივრების სამართლებრივი შესაძლებლობა, ვიდრე დაიწყება აღსრულება.

სადაც აღსრულებაა საჭირო, "ოჯახის დაბრუნების პანელი" დამოუკიდებელ რჩევასა და დახმარებას აძლევს შინაგან საქმეთა სამინისტროს; ეს პანელი ეხმარება გაყვანის პროცესში ბავშვის საუკეთესო ინტერესის გათვალისწინებაში. პანელის წევრები არიან მთავრობისგან დამოუკიდებელი და პროფესიონალი ექსპერტები ბავშვთა კეთილდღეობის საკითხების ხვადასხვა სფეროში. პანელი, ასევე, მონაწილეობს იმის შეფასებაში, თუ რამდენად აუცილებელია დაკავება და, სადაც ასეთად ჩაითვლება, იმის უზრუნველყოფაში, რომ დაკავება მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი. ოჯახები, რომლებიც ექვემდებარებიან იძულებით დაბრუნებას, შეიძლება იყვნენ დაკავებულნი უკიდურეს შემთხვევაში "Cedars"-ის გამგზავრების წინა საცხოვრებელში, ბავშვისა და ოჯახისთვის სათანადო გარემოში, მაქსიმუმ 72 საათის განმავლობაში; ამ ვადის ერთ კვირამდე გაგრძელება შესაძლებელია მინისტრის ნებართვით. "გამგზავრების წინა" საცხოვრებელი შეიქმნა როგორც უსაფრთხო დაწესებულება, რომელიც პატივს სცემს ბავშვებისა და მათი ოჯახების პირად ცხოვრებასა და დამოუკიდებლობას.

სტანდარტები, რომლებიც მოცემულია ამ შესაძლებლობების ფურცელში აღებულია UNHCR-ის დოკუმენტიდან, *სახელმძღვანელო პრინციპები სათანადო კრიტერიუმებსა და სტანდარტებზე, რომლებიც დაკავშირებულია თავშესაფრის მაძიებელთა დაკავებასა და დაკავების ალტერნატივებთან,* 2012; ხელმისაწვდომია: http://www.refworld.org/docid/503489533b8.html

ასევე იხილეთ გაეროს სახელმძღვანელო პრინციპები ბავშვებზე ალტერნატიული ზრუნვის შესახებ, A.RES/64/142, 24 თებერვალი, 2010, ხელმისაწვდომია: http://www.refworld.org/docid/4c3acd162.html

მეტი შესაძლებლობებისთვის იხილეთ UNHCR-ის *ბავშვთა დაცვის მიმოხილვაში: ალტერნატიული მზრუნველობა,* იანვარი 2014, ხელმისაწვდომია: http://www.refworld.orf/docid/52f0e4f34.html

გაეროს ბავშვთა უფლებების კომიტეტი (CRC), ზოგადი კომენტარი No. 6 (2005): მზრუნველობის გარეშე დარჩენილი და დაცილებული ბავშვების მოპყრობა მათი წარმოშობის ქვეყნის გარეთ, 1 სექტემბერი 2005, CRC/GC/2005/6, ხელმისაწვდომია: http://www.refworld.orf/docid/42dd174b4.html

გაეროს ბავშვთა დაცვის კომიტეტი (CRC), 2012 წლის ანგარიში საერთაშორისო მიგრაციის კონტექსტში ბავშვთა დაცვის შესახებ ზოგადი დისკუსია, სექტემბერი 2012, ხელმისაწვდომია: http://goo.gl/rqnsBf

UNHCR-ი. ასაკი, გენდერი და მრავალფეროვნების მიდგომა, 5 ივნისი 2012, EC/63/SC/CRP. 14, ხელმისაწვდომია: http://www.refworld.org/docid/50923f2a2.html

UNHCR-ი, UNHCR-ის სახელმძღვანელო პრინციპები ბავშვის საუკეთესო ინტერესების დასადგენად, მაისი 2008, ხელმისაწვდომია: http://www.refworld.org/docid/48480c342.html

UNHCR-ი, სფეროს სახელმძღვანელო UNHCR-ის ბავშვის საუკეთესო ინტერესების დადგენის სახელმძღვანელო პრინციპების შესასრულებლად, ნოემბერი 2011, ხელმისაწვდომია: http://www.refworld.org/docid/4e4a57d02.html

ეს შესაძლებლობების ფურცელი 1, ხელმისაწვდომია: http://refworld.org/docid/5523e8d94.html

UNHCR
The UN Refugee Agency

მომზადებულია Oak
ფონდის მხარდაჭერით

© UNHCR, 2015

დამატებითი ინფორმაციისთვის:

www.unhcr.org/detention